

საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი ტეტრაპლოიდური და ჰექსაპლოიდური ხორბლის მორფომეტრიული ანალიზი

ნინო უსტიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია,
მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები)
მიმართულება ეკოლოგია

სამეცნიერი ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მარინე მოსულიშვილი
თანახელმძღვანელი: მკვლევარი, დოქტ. ზეზვა ასანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

აბრევიატურები, სიმბოლოები, შემოკლებები

მაგ. - მაგალითად

იხ. - იხილეთ

სხვ. - სხვა

ა.შ - ასე შემდეგ

სურ. - სურათი

ცხრ. - ცხრილი

ნახ. -ნახაზი

ცხრ. - ცხრილი

საშ. -საშუალო

სტ.გად.- სტანდარტული გადახრა

მმ. - მილიმეტრი

ANOVA - მრავალსფეროვანი ვარიანსას ანალიზი

PC - პრინციპული კომპონენტი

PCA - პრინციპული კომპონენტების ანალიზი

UPOV - მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირი (International Union for the Protection of New Varieties of Plants)

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
1. შესავალი.....	2
1.1 საკვლევი საკითხის აქტუალობა.....	2
1.2 ლიტერატურის მიმოხილვა.....	4
2. მასალები და მეთოდები	10
2.1 მცენარეული მასალა	10
2.2 მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მეთოდები	12
3. შედეგები	15
4. დისკუსია.....	22
5. დასკვნები.....	26
ბიბლიოგრაფია:	27

აბსტრაქტი

კვლევის პროცესში შევისწავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის (*Triticum*) გვარის ოთხი ტეტრაპლოიდი (*Triticum dicoccoides*; *T. dicoccum*; *T. carthlicum* და *T. palaeocolchicum*) და ორი ჰექსაპლოიდი (*T. aestivum* და *T. spelta*) სახეობის 60 ინდივიდის 17 მორფოლოგიური ნიშანი. მონაცემთა მიღება მოხდა დესკრიპტორული და ემპირიული გაზომვით. კვლევაში გამოვიყენეთ პრინციპული კომპონენტების ანალიზი, ერთსაფეხურიანი ვარიანსას და კლასტერული ანალიზი. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მორფოლოგიური ნიშნებიდან სახეობების გასამიჯნად ყველაზე კარგ შედეგს იძლევა თესლის ფართობი¹, ფხის სიგრძე, თავთავის ფართობი, თავთავის სიმჭიდროვე, თავთუნის კილის მხრის სიგანე და თავთუნის კილის მხრის ფორმა. აღნიშნული ნიშნები ერთად აჯგუფებს ფილოგენეტიკურად ერთმანეთისგან დაშორებულ სახეობებს, რადგან ისინი წარმოადგენენ დომესტიკაციის შედეგად მოდიფიცირებულ რაოდენობრივ ნიშნებს.

ტაქსონომიურად მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ნიშნები: თავთუნის კილის მხრის სიგანე და ფორმა, თავთუნის კილის ნისკარტის სიგრძე და ფორმა ერთად აჯგუფებს *T. dicoccoides*-ს, *T. carthlicum*-ს და *T. aestivum*-ს და მიჯნავს მათ სხვა ჯგუფისგან, რომელიც მოიცავს *T. palaeocolchicum*-ს, *T. dicoccum*-ს და *T. spelta*-ს. ეს შედეგი თანხვედრაშია მოსაზრებასთან, რომლის მიხედვითაც *T. dicoccoides*, *T. aestivum* და *T. carthlicum* მიეკუთვნება ერთ ევოლუციურ შტოს.

საკვანძო ტერმინები: *Triticum*, მორფომეტრია, დესკრიპტორები, ენდემური ხორბლები, ტეტრაპლოიდი ხორბლები, ჰექსაპლოიდი ხორბლები, საქართველო.